ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 50

"2" მარტი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მთავრობასა და შპს „მედჯგუფი საქართველოს" შორის 2012 წლის 21 მარტს გაფორმებული „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით ნაკისრი ვალდებულებისგან გათავისუფლებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ე მუხლის „დ.ზ"ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 18 თებერვლის N07.03.181 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" 2012 წლის 21 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით განსაზღვრული, N81.02.01.874 და N81.01.06.718 საკადასტრო კოდებიო რეგისტრირებულ 5421 კვმ და 67214 კვმ. მიწის ნაკვეთებზე არსებული ტყის მოვლა-პატრონობის (დასუფთავების) ვალდებულებისგან შპს „მედგრუპ ჯორჯია"-ს (ს/კოდი: 205206873) გათავისუფლებაზე, იმ პირობით, თუ შპს „მედგრუპ ჯორჯიას" მიერ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებით განხორციელდება დამატებით 1000 ძირი ხის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემა.

2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი